



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე მერაბ ნიკოლოზის ძე

თევზაძე მერაბ ნიკოლოზის ძე (5. III. 1939, თბილისი, – 29. VIII. 2011, იქვე), გეოდეზისტი და სამთო ინჟინერ-მარკშაიდერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1989), საქართვე. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (1998). 1961 დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინტის (ამჟამად სტუ) სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. სამთო საქმის ინ-ტში. 1985–2007 იყო სტუ-ის საინჟინრო გეოდეზიის, მარკშაიდერიისა და ქალაქის კადასტრის კათედრის გამგე, 2007–11 – სტუ-ის საინჟ. გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი. თ. იყო გეოდ. კვლევის რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი, საქართვე. გეოდეზიური საბ-ბის პირველი პრეზიდენტი, მინერ. ნედლეულის საერთაშ. აკად. წევრი, ამავე აკად. საქართველოს განყ-ბის პრეზიდენტი, გეოდეზისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, ქართ. ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნ. რედაქციის გეოდ. სექციის თავ-რე (1985–2011).

თ-ის შრომები ეხება გეოდეზიასა და სამარკშაიდერო საქმეში ფიზ. მანძილზომების თეორიას და მის გამოყენებას საინჟ. ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობაში. შექმნა სამარკშაიდერო მონიტორინგის სისტემა. მამასთან (ნ. თევზაძე) ერთად ხელმძღვანელობდა საინჟ. გეოდ. სპეციალობის ჩამოყალიბებას. მონაწილეობდა მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის, თბილსრესის, მადნეულის საბადოს, სამების საკათედრო ტაძრის გეოდ. საფუძვლის პროექტირებაში. თ-მ ფეთქებად საშიშ შახტებში პირველად გამოიყენა ერთდროულად გიროთეოდოლიტი და შუქმანძილზომი. მინიჭებული აქვს „საპატიო გეოდეზისტის“ წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999), საპატრიარქოს სიგელით.

თხზ.: ფიზიკური მანძილზომები, თბ., 1996; Теория ошибок и способ наименьших квадратов, М., 1992 (თანაავტ. Б. И. Беляев).
